რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 30 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1. груп. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები — რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гаповская ул. № 3. Редакція груп. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ ნასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 23 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 23

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბანვორი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით — 12 მან., ერთი თვით — 2 მან.

## ორიენტაცია.

ეროვნების თვითგამორკვევა, რომელსაც დღეს რუსეთის რევოლიუცია ყველა ერებს ანიჭებს, ბადებს თვითგამორკვეულ ერში ორ მოწინაალმდეგე ტენდენციას: ბურჟუაზიულს და პროლეტარულს. ერის გაერთიანება, მისი განთავისუფლება გარეშე მუხრუჭებისაგან წამსვე იწვევს ასპარეზზე ბრძოლას ამ ტენდენციათა შორის. გაბატონებული კლასები ცდილობენ განთავისუფლებული ერი თავის გემოზე მოაწყონ, შექმნან საკუთარი ბურჟუაზიული სახელმწიფო ყველა მისი ძალმომრეობის იარაღებით და ამნაირათ თავისი ბატონობა სავსებით უზრუნველყონ. დაჩაგრული კლასები ამას ეწინააღმდეგებიან და ცდილობენ შექმნან მუშების და გლეხების სახელმწიფო, როგორც იარაღი მშრომელთა ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა.

ეს ტენდენციები აშკარათ სჩანს დღეს რუსეთში, მეტადრე იმ ერებში, რომლებიც წარმოების განვითარების მხრით არა თუ არ ჩამოუვარდებიან რუსეთის ველიკორუსთა ნაწილს, არამედ კიდეკაც უსწრობენ წინ.

აქ ერის თვითგამორკვევა წამსვე ბადებს თვით ერში ორ ფრონტს ბურჟუაზიულს და პროლეტარულს, რომელთა შორის გარდაუვალი უფსკრული ითხრება. კლასთა ბრძოლა მძლავრათ მიაქანებს პროლეტარულ ნაწილს რუსეთის პროლეტარიატთან შესაკავშირებლათ და ამით საერთო რევოლიუციონური ბრძოლა ღრმავდება და ძლიერდება.

მაშასადამე თანამედროვე პირობებში ერის თვითგამორკვევა არ მოასწავებს მარტო ერის გაერთიანებას, მის ჩამოყალიბებას, რის შემდეგაც შესაძლო იყოს მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ბურჟუაზიულ ერთეულათ გადაქცეული ერისა. თვით-გამორკვევა მძლავრი ფაქტორი ხდება გაალმასებული კლასთა ბრძოლისა, რომელიც დაულეველ ენერგიას აძლევს პროლეტარულ ტენდენციას. და ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფოს შექმნამდე უკვე ჩამოყალიბებულია პროლეტარიატი, როგორც კლასი ბრძოლაში გამობრძმედილი და საკუთარი იდეოლოგიით აღჭურვილი.

კავკასია და მეტადრე ამიერ-კავკასია ამ მხრივ უცნაურ გამონაკლისს წარმოადგენს. რა თვითგამორკვევაზე შეიძლება ამიერ-კავკასიაში ლაპარაკი? „ხაზეინი" ერი. ანუ ერი, რომელსაც შეეძლოს მპყრობელ ერათ იქცეს, მას არ მოეპოვება. მიუხედავათ ამისა, ამიერკავკასია თვითგამორკვეულია, მას ყავს, საკუთარი მთავრობა იმდენათ დამოუკიდებელი, რომ ის ხმის გაცემასაც არა კადრულობს რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან. როგორ ხდება შესაძლებელი ეს უერო სახელმწიფო, ან უერო მთავრობა?

ეს დაწესლებულება დროებითი კომბინაცია ამიერკავკასიაში მოსახლე ერების — ქართველ-სომეხ-თათრებისა, რაიცა ნათლათ სჩანს იქიდან, რომ არც ერთი ეს ერი თავის ბედს საბოლოვოთ არ უკავშირებს ამ მთავრობას, ყოველი მათგანი გაფაციცებით ცდილობს საკუთარ ეროვნულ მთავრობის, ეროვნულ სახელმწიფოს შექმნას. არც ერთ მათგანს არ შესწევს ძალა ამიერკავკასიას ებატრონოს და ამ მხრით ამიერკავკასიის ეროვნულ თვითგამორკვევაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ყოველ მათგანს აქვს მისწრაფება ეროვნებათ ჩამოყალიბდეს და რუსეთის დიდი რევოლიუცია თავისი ეროვნული გაერთიანების, ეროვნული სხეულის შექმნისთვის გამოიყენოს. ამიერ-კავკასიის ხალხნი იმდენათ არიან ჩაბმული თანამედროვე ცხოვრებაში, რომ ობიექტიურათ მომწიფებულია საკითხი ეროვნული სხეულების შექმნისა, როგორც ამას ადგილი ქონდა ევროპის რევოლიუციებისა და ომების დროს — დაწყებული საფრანგეთის რევოლიუციიდან 1789 წელს და გათავებული 1870 წლით. მაგრამ ამავე დროს იგივე ხალხები იმდენათ არიან ჩამორჩენილნი, რომ პროლეტარულ ტენდენციას, პროლეტარულ თვითგამორკვევას ერთობ სუსტი გამოხატულება ეძლევა ამ ნაციონალურ გაერთიანება-ჩამოყალიბების პროცესში.

ამით ხერხიანათ სარგებლობენ ამიერ-კავკასიის ერთა გაბატონებული კლასები და ცდილობენ სავსებით უზრუნველყონ ეროვნული ჩამოყალიბება და სავსებით დაიცვან თავი მოწინააღმდეგე პროლეტარული ტენდენციიდან. თავი მოწინააღმდეგე პროლეტარული ტენდენციიდან. რა ფასი აქვს მათთვის ეროვნულ სახელმწიფოს, თუ ის გლეხურ-მუშური იქნება?

ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი რევოლიუციის განმავლობაში ეს კლასები თავგამოდებით ცდილობენ, რომ კლასთა ბრძოლა არ გაღვივებულიყო ამიერ-კავკასიის საზღვრებში. ისინი არა თუ ხელს უშლიან აგრარულ რევოლიუციას ამ მიწათ-მოქმედების ქვეყანაში, ისინი იმასაც ახერხებენ, რომ მეტ ნაწილათ არც კი არსდება მშრომელი ხალხის ორგანიზაციები საბჭოების სახით, რომელთაც უნდა მარტო პოლიტიკური ფუნქციებით განესაზღვრათ თავისი მოქმედება. მათ კარგათ იციოდენ, რომ ასეთი ორგანიზაციები თავისთავათ გარდაიქმნებოდენ კლასთა ბრძოლის უძლიერეს იარაღათ და აგრარული რევოლიუციის ცეცხლს საყოველთაოთ დაანთებდენ. გლეხთა საბჭოები არ მოიპოვება დღემდის არა მარტო მუსულმანთა და სომეხთა შორის, არამედ ქართველებშიაც, რომლებიც მუდამ იკვეხიან თავის პოლიტიკურ სიმწიფეს და რევოლიუციონურ მოწინავეობას იჩემებენ.

ოქტომბრის რევოლიუციამ გახადა შესაძლებელი ერთა თვით-გამორკვევა. კავკასიის ხალხებმაც ისარგებლეს ამით, მაგრამ პირველ ყოვლისა შეეცადენ თავი დაეზღვიათ თვით ოქტომბრის რევოლიუციის ალიდან, უარეყოთ მისი სოციალური მხარე და მიეღოთ მხოლოთ ნაციონალისტური თავისუფლება.

მათ ზღუდე აღუმართეს რუსეთის მოძრაობას, რომელსაც ისინი ანარქიას უწოდებდენ და შეუდგენ თვით-გამორკვევას. ამ ზღუდეთ საუკეთესო საშუალება იყო საკუთარი მთავრობის დაარსება და რუსეთთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა. ერთი დაკვრით წყდებოდა საკითხი ანარქიის არ შემოშვებისა და თვით-გამორკვევისა. ასეც მოხდა.

თვით-გამორკვევა რუსეთიდან ადვილი საქმეა. ამიერ-კავკასიის მასშტაბში ეს თვით-გამორკვევა სოციალური ხასიათისა. ის კონტრ-რევოლიუციონურია სავსებით, როგორც კალედინის და დუტოვის თვით-გამორკვევა. მაშასადამე ეს არ სწყვეტს ეროვნულ თვით-გამორკვევის საკითხს, რომელიც, როგორც ვთქვით, ობიექტიურათ მომწიფებულია.

ამიერ-კავკასიის ერებმა თვით-გამორკვევა უნდა განახორციელონ არა მარტო რუსის ერის მიმართ (ეს ადვილათ გადაწყდა კონტრ-რევოლიუციის ნიადაგზე), არამედ ერთმანეთ შორის. ისინი ერთმანეთს უნდა გამოეყონ, გამოემიჯნონ, საკუთარი ტერიტორიები დაიმტკიცონ, გავლენის სფეროები განსაზღვრონ და მხოლოთ მაშინ შესძლებენ ეროვნულათ ჩამოყალიბებას, ეროვნულ სხეულათ გადაქცევას.

ეს კი ძნელი საქმეა. სამივე ერი სუვერენული უნდა იყოს და ამავე დროს სარბიელათ მთელი ამიერ-კავკასია უნდა ქონდეს. საკუთარ ტერიტორიაში ჩაჭედვა სულს ამოხდის თითეულს ცალ-ცალკეეს ტერიტორიებიც სადავოა. ისტორიული ტრადიციები და რეალური მოსახლეობა ერთმანეთს არ ეთანხმება. რეალური მოსახლეობაც მეტათ აჭრელებულ სანახაობას წარმოადგენს ხშირათ შეუძლებელი ხდება რაიმე მიჯნის გავლება. გამიჯვნა კი აუცილებელია.

რანაირათ შეიძლება საკითხის გადაწყვეტა? საერთო შეთანხმებითო, ამბობენ თვით დაინტერესებული მხარეები. მაგრამ ეს ცარიელი ფრაზაა. შეთანხმება მხოლოთ უკანასკნელი გამოხატულება იქნება რეალურ ძალთა განწყობილებისა. ამ ძალებსაც იკრებენ, მათ ქმნიან და რაზმავენ ნაციონალური საბჭოები ნაციონალურ პოლკების და კორპუსების სახით. მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა მოკავშირეები. მათ ძებნა მოპოვებაში წინ დგება მთელი პოლიტიკა, რომელსაც ქვიან ორიენტაცია.

ამიერ-კავკასიის ერები უკვე იმუშავებენ თავის ორიენტაციას. ისინი თვით ერთი-მეორეს უკავშირდებიან, ერთი მეორეს ინაპირებენ და მით ცდილობენ ერთი მეორეს სარფიანი ლუკმა წაავლიჯონ.

დამახასიათებელია ქართველ-თათრების ორიენტაცია. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან, შეთანხმებულ მოქმედებას ცდილობენ. მათ დაახლოვებას ადვილებს სწორეთ ის, რომ ისინი შორი-შორს და ერთმანეთზე ტერიტორიალურათ, თითქმის არ ხვდებიან ერთმანეთს მიჯნებით და სადავო ამ მხრით მათში თითქმის არაფერია.

მით შორის ამართული არიან სომხები, რომლებსაც სხვადასხვა მხრიდან ორივე ეს მხარე ედავება მიჯვნას, ტერიტორიას, გავლენას. აშკარაა, ასეთ პირობებში სომხები იძულებული არიან დასთმონ; მაგრამ რომ ამ დათმობასაც რაიმე საზღვარი დაედოს, ისინიც იძულებული არიან მოკავშირე ეძიონ და რაკი ასეთი ძალა ახლოს არ მოიპოვება,

შორეულ ძალას აპყრობენ ისინი თვალს. სომხების ორიენტაცია რუსულია.

ისინი შიშით უყურებენ რუსის ჯარიდან კავკასიის დაცლას და საერთოთ ცენტრიდან მოწყვეტას უფრთხიან. მათ არ მიიღეს მონაწილეობა რუსის ეშელონების იარაღის აყრაში, თუმცა არა ნაკლებ ესაჭიროებიან იარაღს, ვიდრე თათრები და ქართველები. ამიერ-კავკასიის სეიმსაც ისე არ შეხარიან, როგორც ქართველები და თათრები, რადგან სეიმის დაარსებით კავშირი წყდება რუსეთთან და ეს კი სომხებისთვის სახიფათოა.

ანტი-სომხური ორიენტაცია ქართველებში კი ხნის საქმეა. საერობო თათბირზე ის აშკარათ გამოჩნდა. მაგრამ მაშინ ქართველი დემოკრატიის უმნიშვნელო წარმომადგენლობა არ გაყვა ამ გზას და საკუთარი ფიზიონომია შეინარჩუნა.

მას აქეთ დრო გამოიცვალა. ქართველი დემოკრატიის პასუხის მგებლობა პარტიამ სავსებით შეითვისა ნაციონალისტების შეხედულება ამ საკითხში და მას შეურყეველი თანდათანობით იცავს

ეს აშკარათ გამოჩნდა სეიმის სხდომაზე. თვით პრეზიდიუმის არჩევა ნიშანდობლივი სიმბოლიზაცია იყო ქართულ ორიენტაციისა· მენშევიკმა რამიშვილმა ბოლშევიკური პრინციპიც-კი მოიშველია რომ ქართველი თავმჯდომარის გვერდით მდივნათ მუსულმანი დაესვა. შემდეგ ჟორდანიამ ცხადყო, რომ ის მეტათ აფასებს ამ ორიენტაციას: მის სიტყვაში აშკარათ ისმოდა მუქარა სომხების მიმართ, რამაც კიდეც გასჭრა და არც შეიძლებოდა არ გაეჭრა. სომხები დასთანხმდენ სეიმს და ჯერჯერობით იცნეს იქ შექმნილი ძალთა განწყობილება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მუსულმანებს და ქართველებს.

ოსმალეთის სომხეთის შესახებ გამოცემულმა დეკრეტმა შეაშფოთა არა მარტო თათრები, არამედ ქართველებიც. [illegible]მართება ხომ არ არის: ოსმალეთის მონობიდან სომხეთის განთავისუფლება კავკასიის სომხებსაც გააძლიერებს და ეს კი არ გვაწყობს მათ მეზობლებს. უფრო ვიტყვით მუსულმანებზე. ქართველების აზრითაც სომხების „საკითხის ამიერ-კავკასიის ხალხების დაუკითხავლათ დეკრეტით გადაჭრა ისეთი გზაა, რომელიც დიდ საფრთხეს გვიმზადებს“. რა შეთანხმება შეიძლება კავკასიის ერთა შორის საკითხის ასე დაყენების დროს? სრულიად არავითარი. გამოდის, რომ ქართველებმა და თათრებმა უნდა მისცენ დასტური სომხების თვით-გამორკვევაზე მაშინაც კი, როცა სომხები უცხო ერის ბატონობის უღლიდან თავისუფლდებიან და ამას თვით ქართველ-თათრების თვით-გამორკვევასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს პრეტენზიები გასაგები იქნებოდა, რომ ქართველ-თათრებს ვინმე ეურჩებოდეს მათი თვითგამორკვევის საქმეში და სომხებს თვითგამორკვევა მათთვის ამ მხრით რაიმე საფრთხეს წარმოადგენდეს. იმ პირობებში კი, როგორშიაც სომხების თავიანთ გამორკვევის წინააღმდეგ ეს გამოლაშქრება სწარმოებს, ასეთი ახირებული ორიენტაცია წარმოადგენს ყოველივე გონიერების მოკლებულ შოვინიზმს.

სხვანაირათ არც შეიძლება რომ იყოს. გაბატონებული კლასების სამოქმედო ნიადაგს წარმოადგენს ქიშპობა და მტრობა და არა სოლიდარობა და თანხმობა. ეს უკანასკნელი პროლეტარიატის კუთვნილებაა და მას არც ესაჭიროება რაიმე ორიენტაცია. მას ერთი ორიენტაცია აქვს, რომელსაც მტკიცეთ იცავს ყოველგვარ პირობებში. ეს არის ყველა ერის მშრომელი ხალხის შეერთიანება და ყველა ერის გაბატონებული კლასების წინააღმდეგ შეურიგებელი კლასთა ბრძოლა.

ჩვენ ახლა განვიცდით ისეთ ხანას, როდესაც ნაციონალისტური ვაკხანალია უმაღლეს წერტილზეა ასული. სხვა და სხვა ორიენტაცია დიდ მოდაშია. გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავითარ ორიენტაციას არ ვიზიარებთ. ყოველ ერს აქვს თვით-გამორკვევის უფლება და პროლეტარიატი, რომელიც დღეს განაგებს რუსეთის სახელმწიფო ცხოვრებას, არავის არ უხშობს გზას თვით-გამორკვევისკენ. ამ პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირს ვქადაგებთ ჩვენ და ვემსახურებით მას, მთელი ძალ-ღონით. ნაციონალიზმის გამარჯვება მისი ორიენტაციებით დროებითია და რამდენხანსაც უნდა გაგრძელდეს ის, ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ გაიმარჯვებს კავკასიის მშრომელ ხალხთა ერთობა რუსების და მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან.

ამ საერთო დაცემის და გათახსირების დროს მეტი არ იქნება მოვიყვანო ბებელის და ლიბკნეხტის აზრები, რომლებსაც ისინი უშიშრათ ქადაგებდენ 1870 წლის ომის დროს (საფრანგეთ-პრუსიის) თავის გაზეთ „ფოლკშტაატში“:

„საფრანგეთის სოციალდემოკრატი ჩვენი ძმა არის, თუმცა ის ეკუთვნის სხვა ეროვნებას. გერმანიის ბურჟუა და რეაქციონერი ჩვენი მტერია, თუმცა ის იმავე ეროვნებას ეკუთვნის, რომელსაც ჩვენც ვეკუთვნით.“

შექმნილ პირობების მიხედვით ჩვენ ვიტყვით: „სომხის, თათრის და რუსის მშრომელი ხალხი ჩვენი ძმა არის, თუმცა ისინი სხვა ეროვნებას ეკუთვნიან. ქართველი ბურჟუა და ნაციონალისტები ჩვენი მტრები არიან, თუმცა ისინი იმავე ეროვნებას ეკუთვნიან, რომელსაც ჩვენც ვეკუთვნით. ჩვენი ორიენტაცია ყველგან და ყოველ ჟამს ეს არის:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

## კვალ და კვალ

ცნობილია, რომ მენშევიკ-ესერებმა თავისი ოპორტუნისტულ-კოალიციურ პოლიტიკით ერთობ შეუწყვეს ხელი საბჭოების დემოკრატიაზე ძალა-გავლენის დაცემას. ეს მაშინ, როცა ამ საბჭოებში ოპორტუნისტები იყვნენ გაბატონებული. მხოლოთ მას შემდეგ, როცა საბჭოებში გაბატონდენ ბოლშევიკები, — განსაკუთრებით ოქტომბრის დღეებს აქეთ, მათი ძალა-გავლენა, ავტორიტეტი, და მნიშვნელობა მდევის ნაბიჯით მიდის წინ.

ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში, — საბჭოებში კიდევ მენშევიკებია გაბატონებული, რომელთა წყალობით ამ საბჭოების ძალა-გავლენა თითქმის სრულიათ დაეცა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს მენშევიკური საბჭოები დღეს ადგილობრივ ობორონცულ მთავრობის (კომისარიატის) და ნაციონალისტურ-შოვინისტური ცენტრების უბრალო დამატებას, — მეტსაც ვიტყვით მხოლოთ კუდს წარმოადგენენ და მეტს არაფერს.

ეს ყველასაგან ცნობილი ფაქტი აღიშნა ჩვენმა გაზ. „კავკ. რაბოჩიმ“. იგი წერდა: „მუშ. სალდ. და გლეხების დეპ. საბჭოები პოლიტიკურათ დაკოჭილია, მათ არავითარი გავლენა აღარა აქვთ ცხოვრებაზე და დღეს არა ხვალ მათ ფორმალურათაც დამლიან ისინი ვინც შეგნებულათ ხელი შეუწყო მათ უსახელო სიკვდილსო“.

„ერთობა“ ერთობ გაუწიწმატებია ამ ანბანურ ჭეშმარიტების აღნიშვნას და მაგრათ ილანძღება. იგი სწერს: „ვინც საბჭოების მოღვაწეობას თვალყურს ადევნებს, მან კარგათ იცის, რომ ბოლშევიკები მეტისმეტ სიცრუეს სწერენო“. ვინ არის ჩვენ შორის მართალი? ჩვენ მიუთითებთ ერთ ავტორიტეტზე თვით ობორონცების მენშევიკურ ბანაკიდან ცნობილ ბელად ნ. ჟორდანიაზე, რომელიც ამავე „ერთობის“ (№ 20) მეწინავე გვერდის მეორე სვეტში ამბობს (კამათია მენშევიკების მიერ შეხამებული ამიერ-კავკ. სეიმის შესახებ): „ჩვენ გვეუბნებიან: არის მუშ., ჯ.-კ. და გლეხთა დეპ. საბჭოთა ცენტრი და ის მოაწყოს ადგილობრივ საქმეებსო. მე დიდი პატრიოტი ვარ ცენტრის (არც იმდენი! მეპრესე), მაგრამ არა შეყვარებული, რომელსაც დაუკარგავს გონება (ეს!) მე ვხედავ, რომ ცენტრის გავლენა თანდათან ეცემა.“

როგორც ხედავთ, ნ. ჟორდანია ამბობს იმას, რასაც „კავკ. რაბ.“ მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ პირველი აღნიშნავს ამ მოვლენას, როგორც სასიხარულოს და მის გამომწვევ მიზეზს არ ეძებს, მეორე კი ამას აღნიშნავს, როგორც სამწუხარო მოვლენას და გმობს მის გამომწვევთ — მენშევიკებს.

ეხლა ვეკითხებით „ერთობის“ უდარდელ მეპრესეს: ნ. ჟორდანიაც სიცრუეს ამბობს?!.

* *

იგივე სწორუპოვარი მეპრესე საშინლათ გაუბრაზებია ჩვენ მიერ მეორე სინამდვილის ხლიარებას, სახელდობრ: რომ ჩვენებური მენშევიკები ტიპიურ ნაციონალისტებათ გადაიქცნენ. ამიტომ იგი ჩვენდა გასაჯავრებლათ და ადგილობრივ დემოკრატიასთან (უფრო ქართველებთან) დასასმენათ იმავე „ერთობაში“ სწერს: „ბოლშევიკებმა რუსი მცხოვრებლები და ჯარის-კაცები ადგილობრივ ხალხის წინააღმდეგ აამხედრეს და დეკრეტიც კი გამოსცეს სომხეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომ ამით თათრები და სომხები ერთმანეთს წაჰკიდონ და მით ამღვრეულ წყალში თევზი იჭირონო“.

„ერთობის“ მკითხველებიც კი დაგვეთანხმებიან იმაში, რომ ეს ტირადა ყალბი და ტყუილია, რომ იგი უძლური გაბოროტების ნაყოფია. ჩვენ დიდი ხანია შევნიშნეთ „ერთობის“ მიერ ბოლშევიკების დახასიათებას თავისებური უარყოფითი ეპიტეტებით, მარა ბრალდება ნაციონალისტობა შოვინისტობაში პირველად გვესმის.

რადგან ჩვენ მენშევიკებს ვახასიათებთ, როგორც ტიპიურ ნაციონალისტებს, ნაციონალისტებს საქმით და არა სიტყვით (სიტყვით ისინი დღესაც კი იმეორებენ: ინტერნაციონალისტები ვართო.) ამის დასამტკიცებელი საბუთი აუარებელი გვაქვს. მაგ. მენშევიკების მუშაობა ნაციონალურ საბჭოებში, ამ საბჭოების დამოკიდებულება მუშათა და სხ. საბჭოებთან, ამ ნაციონალურ საბჭოების სიტყვა და საქმე, მოქმედება (უფრო საქმე, ვიდრე სიტყვა). ამ წმინდა წყლის შოვინისტური, კაციჭამია ორგანოების მიერ წამოწყებული და გამოწვეული განჯა-შამხორის სისხლიანი ამბები და სხ. რას ამტკიცებენ ეს ფაქტები და ამბები? ერთ რამეს: მენშევიკები მაგრათ არიან ჩაჭერილი შოვინისტების ბრჭყალებში და მათი განთავისუფლება აწი არავითარ ძალას აღარ შეუძლია. ისინი ყელამდე ჩაეფლენ ნაციონალიზმის წუმპეში. მენშევიკების ინტერნაციონალისტობა დღეს ანაქრონიზმია, დრო მოჭმული ამბავია, რაც შეეხება ბოლშევიკების ინტერნაციონალისტობას, ეს დღეს მაინც მთელი კაცობრიობისათვის ცხადია, რომლის საუკეთესო ნაწილი — რევოლუციონური პროლეტარიატი — დღეს ისეთ [illegible] მათი მეთაურობით წამოიწყო ოქტომბრის რევოლუციაზე, რომელიც მიიღწევს სოციალიზმისაკენ. ინტერნაციონალიზმი და ბოლშევიზმი სინონიმებია, ერთი და იგივე მნიშვნელობის [illegible]. მენშევიზმი (ოპორტუნიზმი, მით უმეტეს ასეთია ჩვენში) და ინტერნაციონალიზმი კი — ანტიპოდებია, ისეთი სიტყვებია, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვს ერთმანეთთან.

ბოლშევიკებს უნდათ თათრები და სომხები ერთმანეთს წაჰკიდონ და მით ამღვრეულ წყალში თევზი იჭირონო! რა უნდა მოვსთხოვოთ ამის დამწერ ადამიანს? ნუთუ გამოჩნდება თუ გინდ ერთი მკითხველი „ერთობისაც“ კი, რომელიც დაიჯერებს ამ უაზრო ცილის წამებას? არ გვგონია, ვინაიდან წინააღმდეგი დაშვება ნიშანი იქნებოდა ჩვენი განუსაზღვრელი პესიმიზმის.

## უკანასკნელი ამბები.

(რადიო-ტელეგრამით გადმოცემული).

### საბჭოების მთავრობა გერმანიაში.

რადიო-ტელეგრამით გვაცნობებენ, რომ პეტროგრადის მუშებში აღფრთოვანება გამოიწვია ბერლინში მუშათა დეპუტატების საბჭოს დაარსებამ. ამბობენ კარლ ლიბკნეხტი განთავისუფლეს და ის გერმანიის ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა. პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭო თავის ხვალინდელ სხდომაზე შეიმუშავებს მისალმების ადრესს ბერლინის და ვენის ახლათ შემდგარ მუშათა დეპუტატების საბჭოებისადმი.

ლენინი.

21 იანვარი.

## მუშათა წერილები.

ბ. იმნაიშვილის ლოღიკა. 24 იანვარს მოვისმინე რა ნიკიფორე იმნაიშვილის მოხსენება, გულში დამებადა სიბრალული მომხსენებლისადმი. თავში სულ ერთი და იგივე აზრი მიტრიალებდა: როდემდის უნდა ახაზრდოვოთ ხალხი ასეთი [illegible]. მენშევიკებს ამდაუმდოთ? მიკვირდა: რამდენჯერ თვით ხალხი არ დასცინებს [illegible], რისთვის არ დაიცავს ვინმე სიმართლეს და არ შეაჩვენებს თავზედ [illegible]. მიზეზი ხალხის სიბეცისა ჯერ გამოჩნდა. დღესაც გაუგებარი იქნებოდა ჩემთვის ეს, რომ არ მიმშველებოდა მენშევიკების მიერ არჩეული თავმჯდომარე, ბ. პაპარიძე. ბ. პაპარიძემ თავმჯდომარეობის დროს ხალხს მიმართა: „თქვენ ჯერ ბავშვები ხართ, გაზრდა გჭირიათ პოლიტიკური საქმეების გასარჩევათო.“ ამ სიტყვების გაგონებაზე იმედით აღვივსე. გავიგე, რომ ხალხი ჯერ მოუმწიფებელი ყოლია მენშევიკებს, ისე როგორც ეს იყო სამი თვის წინ რუსეთში. იქაური მუშები გაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ და გაბოლშევიკდენ. აქაც გაიზრდებიან. გაიზრდებიან, გაბოლშევიკდებიან და ულტიკობას არასოდეს არ მოითმენენ.

მენშევიკ — იმნაიშვილებს სოროებში მისამალ-მოსამალავათ შეექნებათ საქმე, ან რა პირით უნდა გამოჩნდენ ის პირნი, ვინც დღეს ბოლშევიკებს რუსეთის დამღუპველებს უწოდებს და მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს ესარჩლება. ბ. იმნა-

...რუსეთს ფერიც არ შეცვლია, როდესაც ...უმტკიცებდა ხაზინის მუშებს: ...ბოლშევიკებმა მთელი რუსეთი გაყიდეს, ...რევოლუცია დამარხესო. რუსეთის რევოლუციის რევოლუციამ დამარხა, თუ ...ბოლშევიკების პოლიტიკამ და გ. ...და კომპანიამ? რუსეთის ...გაიწირეს, რისი შედეგია, თუ ...რევოლუციის? რუსეთი თავისუფლების ...დაქანცა, დაამშია თუ იმან? ...უმსთლო ანზასის გავეშსას დიდი ...არ ფმოდა, ბ-ნო ნიკიფორე!

ამ პირველ ულოლიკობაზე უფრო მე... ულოლიკობა გამოიჩინა ჩვენმა მომ... ხსენებულმა, როდესაც გერმანიის გენერლები და ჩვენი ბოლშევიკები დაუპირ... ხალხს.

ჩვენი ბოლშევიკები იმეთი გულით მი... გერმანიის გენერლებთან, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ გამარჯვებული და გერმანია დაამარცხებულიო„. ამ სიტყვების შემდეგ არ გასულა ხუთი წუთი და იმნაიშვილი დასძენს: „ბოლშევიკებმა შეარცხვინეს თავისუფლების დროშა გერმანიის გენერლებთან თავის დამცირებით ხავზე ლაპარაკითო. ან ერთი ცოტა და ან მეორე, ჯერ ლაპარაკობს; ამაყური კილოთ გერმანელი გენერლები გააცურავო. თუ ამაყათ, კამარჯვებული კილოთი ელაპარაკებოდენ, ბოლშევიკებს თავის დამცირება, თავისუფლების დროშის შერცხვენა აქ რა შუაშია! აქაც ლოღიკის წამებაა, მეტი არაფერი. ბატონო, ბ. ნიკიფორე გაუკვირდება ჩვენი სოციალისტების კილოს: როგორ გაბედეს დამარცხებულ რუსეთის სოციალისტებმა ისე ლაპარაკი, თითქოს რუსეთი გამარჯვებულ მხარე ყოფილიყოსო? დიახაც რუსეთის სოციალისტებს შეუძლიათ თავი გამარჯვებულათ იგრძნონ. რადგან მათ სამუდამოთ დაამსხვრიეს როგორც ცარიზმი, ისე ბურჟუაზიის და იმპერიალისტების ხატონობა.

რუსის ხალხი გამარჯვებულია იმ ომში, რომელიც მან გამოაცხადა, ე. ი. მან მოკლა, ჩვენ ფრონტზე მაინც, იმპერიალისტური ომი.

მეორე მიუტევებელი ულოლიკობა მომხსენებლის: ნას ჯერ წარმოუდგენია სოციალისტის ლაპარაკი გერმანიის გენერლებთან და ... ხვეწნა და ... ლაპარაკიო. ... სეიმში უმრავლესობა იქნებიან თათრების ბეგები, სომხების მოვაჭრეები და სხვა.

არ ვიცი, ვისთან უფრო შეიძლება ...: ბოლშევიკებთან თუ ბეგებთან! ... თუ მ. ნ. იმნაიშვილი იცნობს როგორც ...მენშევიკებს, ჯერ ბალდები არიან პოლიტიკაში? ნუთუ ... მოძმეების იმნაიშვილის დავიწყებაც უნდა. მოეკლათ და მისი გაბოლშევიკება?

ოსანა.

# მუშათა შორის.

თბ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების მუშათა 2 რეზოლიუცია. (მიღებულ იქნა აბსოლუტური უმრავლესობით.)

27 იანვარს თბ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოებში შედგა მუშათა საერთო კრება ჯამაგირების მიუღებლობის თაობაზე. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ადგილობრივ მთავრობისგან არა ერთ გზით იყო დაპირება ჯამაგირებს თავის დროზე მიიღებთო, მარა ეს დაპირება ცარიელ დაპირებათ რჩებოდა და ჯამაგირი მუშებს დღემდე მიუღებელი ვვაქვს, რამაც ჩვენ შიმშილის კარამდე მიგვიყვანა, ამასთანავე არც დღეს უჩანს ბოლო ამ ცრუ დაპირებებს და ჩვენ რ. გ. მოსამსახურეებმა და მუშებმა აღარ ვიცით მივიღებთ ჩვენს ნამუშევარს ფულს გროშებს თუ ვერა, ამისთვის ასეთ კრიტიკულ მდგომარეობის გამო ჩვენ მოვითხოვთ ადგილობრივ მთავრობისგან, რომ ყველა ხვედრი-წასული და იმჟამინდელი ჯამაგირი მოგვეცეს 30 იანვრამდე რუსეთის რკინისგზებისთვის სახალხო კომისარების საბჭოსგან გამოცემულ დეკრეტის თანახმათ. თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, ჩვენ ვაცხადებთ გაფიცვას, რის სისრულეში მოყვანას ვავალებთ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს."

ვ. საბაშვილი.

ჩვენ თბ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც საერთო კრებაზე მსჯელობა ვიქონიეთ დღევანდელ საერთო ეკონომიურ-ფინანსიურ დაცემაზე და კერძოთ ჩვენი მხრის მთავრობის ამ მხრით უკიდურეს გაჭირვებაზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამიერ-კავკასიის ახლანდელ მთავრობის მიერ გამოცემული ფული — ბონების სახით კიდევ უფრო ძირს სწევს მანეთიანის კურსს, რაც ხელსაყრელია მხოლოთ ბურჟუაზიისა და სპეკულიანტებისთვის, რომლებიც ჩვენ მომხმარებლებს ორკეცა ტყავს გვაძრობენ; ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ მუშების და მოსამსახურეების ჯამაგირები უთუოთ რუსული ფულით იქნას გასწორებულ — გასტუმრებული; და რომ ბოლო მოეღოს ზემოხსენებულ მოვლენას, ჩვენ არ ჩავარდეთ ულმობელ შიმშილის ბრჭყალებში „ამისთვის აქედანვე ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს ადგილობრივ კოალიციურ-ბურჟუაზიულ მთავრობასთან, რომელიც ჩვენი მხრით არავითარი ნდობის ღირსი არაა, ვინაიდან მან ჩვენ რუსეთის პროლეტარიატს მოგვწყვიტა და ჩამოგვაშორა და ისეთ ყოფაში ჩაგვაყენა, საიდანაც არავითარი გამოსავალი აღარ სჩანს; ამიტომ, ასეთ მდგომარეობიდან რომ გამოვიდეთ და რუსეთის პროლეტარიატს შეუერთდეთ, ჩვენ ადგილობრივათ ვცნობთ მოხოლოთ მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა მთავრობას. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას. ძირს კოალიციურ-ბურჟუაზიული ამიერ-კავკასიის მთავრობა!

თავმჯდომარე საბაშვილი.

(რეზოლიუცია მიღებულია დიდი ხმის უმეტესობით)

# პროვინციის ცხოვრება.

ნიგოითი (გურია) ავერ ორი თვეა რაც ამ საზოგადოებაში დაარსდა რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების ორგანიცაცია საზოგადოება არის დაყოფილი იაჩეიკებათ და მათი წარმომადგენელნი შეადგენენ ადგილობრივ კოლექტივს. კოლექტივის მიზანია ჯეროვანი პასუხის გაცემა ყოველივე იმ საკითხზე, რომლებსაც წარმოშობს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მდგომარეობა ადგილობრივ ცხოვრებაში, კოლექტივის ინიციატივით რამოდენიმეჯერ გაიმართა ლექციები-დებატებით, სადაც საზოგადოებას აცნობდენ, თუ რა შეხედულების არიან ბოლშევიკები რუსეთის რევოლიუციაზე და რა ტაქტიკას აწარმოებენ ამ რევოლიუციის მსვლელობის დროს საზოგადოება ყოველთვის სერიოზულათ ეკიდებოდა ამ საკითხებს რის შედეგებიც ის არის, რომ დღეს აქ ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია არსებობს.

18 იანვარს იქნა მოწვეული ნიგოითის საზოგადოებაში მყოფი ჯარის კაცთა კრება. კრების მიზანი იყო გადაეწყვიტა შემდეგი საკითხები: 1. ჯარისთვის იარაღის აყრა. 2. სამხედრო ორგანიზაციის დაარსება. 3. იარაღების გადმოცემა ადგილობრივ სამხედრო ორგანიზაციის ხელში. 4. სასურსათო საკითხი. 5. მობილიზაციის შესახებ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა იმ ამხანაგებს, რომლებიც ნაციონალური საბჭოების და „გმირი“ აფხაზავის კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების მსხვერპლი გახდნენ.

იარაღის აყრის შესახებ კრებამ გადასწყვიტა პროტესტი გამოუცხადოს, როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს, ისე ყველა ნაციონალურ საბჭოებს, რომლებიც ასეთი თავისი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებით რევოლიუციას დასამარებას უქადიან.

კრებამ სრული უნდობლობა გამოუცხადა ამიერ-კავკ. კომისარიატს. ამ საკითხზე კენჭისყრის დროს კრებას ტოვებს ადგილობრივი კომისსარი და მენშევიკ-იმორონცების ნაწილი. კრება ერთხმათ ღებულობს ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას.

კრება გადადის შემდეგ საკითხზე. ამ დროს შემოდიან კომისარი და სხვები, რომლებსაც ზემოხსენებულ საკითხის გადაწყვეტის შესახებ კრება დასტოვეს. კრება ადგენს დაარსდეს ადგილობრივ სალდათთა ორგანიზაცია 5 კაცისგან შემდგარი. არჩევნების შედეგები: 1. ელისო თავდიშვილი (ბოლშევიკი) 2. არსენ გოგეიშვილი (ბოლშევიკი) 3. ირაკლი პიჭიშვილი (ბოლშევ.) 4. სანდრო ასკურავა (ბოლშევიკი) ლუკა ცოციკაშვილი (ბოლშევიკ.) მათი კანდიდატები: იპოლიტე სარქველაძე (მენშევიკი), ბიკტორ ჭანტურიშვილი (მენშევიკი), კვიროსი ფირცხალაიშვილი (მენშევიკი).

შეიარაღების შესახებ: თუ ეს საჭირო იქნება, საზოგადოებაში პირველად ყოვლისა იქნან შეიარაღებული სამხედრო პირები, როგორც სპეციალისტები და შემდეგ კი სხვები. კრება ამ წინადადებას ერთხმათ ღებულობს. სასურსათო საკითხის მოგვარება კრებამ იქვე არჩეულ ორგანიზაციას მიანდო. მობილიზაციის შესახებ კრებამ უარყო ყოველგვარი მობილიზაცია. კრებამ დაადგინა: მიეცეს წინადადება ადგილობრივ რევოლიუციონურ და პარტიულ ორგანიზაციებს, იქონიონ შუამდგომლობა სადაც ჯერ არის იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ჯარის კაცები იქნან ადგილობრივადვე შეიარაღებული ამ ორგანიზაციების პასუხის მგებლობის ქვეშ. აქ კრება ღებულობს მხედველობაში სახელმწიფო ეკონომიურ მდგომარეობის გამწვავებას რასაც იწვევს ერთ ადგილზე ჯარის გაჩერება.

ამბერკი ურუშაძე.

დ. ჩ ხ ა რ ი. (შორაპნის მაზრა). როდესაც რუსეთის დიდი რევოლიუცია დაიწყო, აქ მტარვალობის დამჩაგვრით აღშფოთებულმა ხალხმა ერთ-ერთ კრებაზე ჩხარის რაიონის კომისარათ ერთხმათ აირჩია ამხ. კოლია შოთაძე, როგორც მეტათ პატიოსანი, გამოცდილი, მართალი და ხალხის ერთგული პირი.

ხალხს მთელი თავისი იმედები დამყარებული ქონდა ახალ კომისარზე, და უნდა მიუდგომლათ ვაღიაროთ, რომ მან (კომისარმა) კიდევაც გაამართლა ხალხის იმედები და დაკისრებული მძიმე და პასუხისაგებ მოვალეობას პირნათლათ ასრულებდა. ამიტომ მან ჯილდოთ ხალხის სიმპატია, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მის კომისარობის ხანაში დ. ჩხარის რაიონში არავითარი უწესოებას, არევ-დარევას და ანარქიას ადგილი არ ქონია და ცხოვრება ნორმალურათ მიმდინარეობდა, მაგრამ განვლო დრომ და აი ერთ მშვენიერ დღეს ჩხარის რაიონულ კომიტეტს წერილობითი განცხადება მოუვიდა ყვირილის მუშათა საბჭოდან, რომლითაც იგი აუწყებდა, რომ კომისარი კოლია შოთაძე თავის თანამდებობიდან გადაყენებულია და მისი საქმეები მის მიერ ჯამოუგზავნის ... ვილაც ლეიტენანტისთვის ჩაებარებინა. ეს განკარგულება ჩხარის რაიონულ კომიტეტმა მყისვე სისრულეში მოიყვანა და თვითონაც დაადასტურა. ამ ამბავმა დიდი შეხლა-შემოხლა და ღელვება გამოიწვია ხალხში. ხალხი საწყობებს ... თილებას მიეცა და ვერ გაერკვეულიყო, თუ რისთვის გამოსცვალეს მისდა დაუკითხავათ. კომისარი შოთაძე. ამის გამო დ. ჩხარში, გასულ კვირას, იანვრის ... მოხდა კიდევ მრავალ რიცხოვანი კრება, რომელმაც საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა ქ. ყვირილის მუშ. საბჭოს ასეთ თავხედობის წინააღმდეგ. ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა 2 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია ქ. ყვირილაში გასაგზავნათ, რომ გამოერკვიათ ხალხისაგან არჩეულ ამხ. შოთაძის გადაყენების მიზეზები. დელეგაცია გაემგზავრა ქ. ყვირილაში, რომელსაც მეორე დღეს იანვრის 15-ს თან მოყვა ქ. ყვირილის მუშ. საბჭოს თავმჯდომარე პოლიკარპე გოგიაშვილი მილიციის უფროსის თანხლებით თავის მილიციონერებითურთ.

მათ მოსვლისთანავე მოხდა კრება, სადაც თავი მოიყარა მრავალმა ხალხმა.

თავმჯდომარეთ აირჩიეს თვითი პ. გოგიაშვილი, რომელმაც გააკეთა მოხსენება. სანამდე ის ამხ. კ. შოთაძის გადაყენების მიზეზებს შეეხებოდა, მან ილაპარაკა რუსეთის დღევანდელ ვითარებაზე. აღნიშნა, რომ შიდა რუსეთში ეგრედ-წოდებულმა, ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს და ყველას დევნა-შევიწროება დაუწყეს, დამფუძნებელი კრება ორჯერ გარეკეს, ხამიინელა ტერორი, ეკონომიური არევდარევა, ანარქია გაამეფეს, ყველაფერი აწეწ-დაწეწეს, ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვიეს და რუსეთი დაღუპვის კარამდე მიიყვანესო ერთი სიტყვით. მოხსნა დემაგოგიის ტომარას თავი და რაც მათ ლიდერ-ორგანოებში „ერთობა“-შიო და „სოციალ-დემოკრატ“-ში ცილისწამება, ჭორი და ინსინუაცია იწერება ბოლშევიკების წინააღმდეგ, სულ ერთიანად სიტყვასიტყვით დააყარა ბოლშევიკებს თავზე. ჩვენებიდან იმპერიალისტი არავინ არ გამოსულა, რომ გაებათილებინა მომხსენებლის აზრები. რადგან ბალები არ მოგვეპოვება და ადგილობრივ მენშევიკების უმეცარი და ბინძურ აგიტაციის წყალობით სოფლის მშრომელი გლეხ-კაცობა ჯერ კიდევ გაურკვევლობის ბურუსშია გახვეული. ადგილობრივ სომეხ-გრიგორიანთა დიაკვანმა ნერსეს გაფამაჭიანცმა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ საზიზღარ ჭორების გავრცელებაში ყველას წინ გაუსწრო. ბოლშევიკების ლანძღვა-გინების შემდეგ პ. გოგიაშვილი შეეხო მოსალოდნელ შიმშილს, სპეკულიაციას, სასურსათო კომიტეტების და საყოველთაო მილიციის (ჯერ მობილიზაციის) შედგენის საკითხებს, ოსმალეთის „საფრთხეს“ და აღნიშნა, რომ უნდა შესდგეს წითელი გვარდია, რომელიც უმთავრესათ საჭიროა შინაური მტრების (ბოლშევიკების?) წინააღმდეგ საბრძოლველათ და მოუწოდა დამსწრეთ, რომ მიბაძონ გურიის მაგა-

ლით, რომელმაც 200 წითელ-გვარდიელი გაგზავნა თბილისის დასაცავათ, და სხ,

ამის შემდეგ-კი პატივცემულმა ორატორმა კეთილ ინება შეხებოდა ამხ. კ შოთაძის გამოცვლის მიზეზებს. აღნიშნა ვითომდა მისი „სისუსტე" და მოვალეობის შეუსრულებლობა და ის, რომ შოთაძეს რევოლიუციონური შკოლა არა აქვს გავლილი, გამოუცდელი და ცხოვრებაში გამოუწვრთნელი ადამიანიათ და სხვა. აი ამ გარემოებამ აიძულა ქ. ყვირილის მუშ. საბჭო რომ ის გამოეცვალა და მისი მოვალეობა ღლონტისთვის ჩაებარებინა, რომელიც შედარებით უმფრო გამოცდილი, რევოლიუციონური შკოლის გავლილი და სოციალისტი ადამიანიაო. ამის შემდეგ ხალხმა ერთხმათ განაცხადა რომ აღნიშნული ყველა მიზეზები უადგილოა ყოველივე სიმართლეს მოკლებულია და კომ. შოთაძე კარგათ ასრულებს თავის მოვალეობასო, მაგრამ ხალხის ჩივილს ვინ უგდო ყური. ბოლოს პ. გოგიბაშვილმა ოსტატურათ დაუმატა, რომ იმ შემთხვევაში თუ ახალი კომისარი არ გამოგადგეთ, ისევ კ. შოთაძე ან სხვა აირჩიეთო. ამის შემდეგ თუმცა ხალხი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ იგრძნო რა თავის-თავი უძლურათ და თვისი უფლებები კი შელახული და ფეხქვეშ გათელილა, ნაღვლიანის გულით ნელ ნელა დაიშალა.

აი მკითხველო ასე გადააყენეს ზევიდან ხალხის არა-მკითხე პირებმა ხალხის ერთგული პირი.

ძველი კომისარი გადაყენებულია. ახალი კომ. ღლონტი თავის მოვალეობის ასრულებას უკვე შეუდგა.

გაამართლებს თუ არა ახალი კომისარი ხალხის იმედებს? მაგას მომავალი დაგვანახვებს.

კარლ.

ს. წ ი ნ ა რ ე ხ ი. 1918 წ. 13 იანვარს მოხდა მიტინგი გორის მაზრაში სოფელ წინარეხში. სოფელ წინარეხის მასწავლებელ ვანო გიუნაშვილის ხელმძღვანელობით; სოფლიდგან გავიდნენ მინდორში და იქ შეიკრიბა ხალხი. დაიწყო ვანო გიუნაშვილმა ლაპარაკით, შეეხო მიწის საკითხს. ვითომ და იგიც ხალხის გულის შემატკივარია, მან სთქვა რომ მიწები უნდა დაიყოს თანასწორათაო. მერმე სთქვა, რომ უნდა ჩაეწერნეთ ფედერალისტთა პარტიაშიო. მიტინგზე დაესწრო ასამდე გლეხი, რომლის ნახევარი უკვე ჩაწერილები იყვნენ პარტიაში და შეიარაღებულები იყვნენ თოფებით შემდეგ დანარჩენ გლეხებს მოუწოდა რომ ჩაწერილიყვნენ ფედერალისტთა პარტიაში და ვინც არ ჩაეწერება ჩვენს პარტიაში და ხმას არ მისცემს ფედერალისტებს, ამ თოფით იქმნება განგმირულიო. მათ შორის დათა ლაცაბიძეც იყო იმავე სოფლის მცხოვრებელი, რომლისთვისაც არა ერთხელ მიეცა წინადადება ვანო გიუნაშვილს,—ჩვენს პარტიას მიეცი ხმაო და რა კი დათა ლაცაბიძემ გაიგო, რომ გიუნაშვილი გლეხებს ძალათი სწერდა პარტიაში და ხმასაც ძალათი აძლევინებდა მან თავი მოაშორა მიტინგს; როცა გასცდა მიტინგს ნახევარ ვერსის მანძილზედ მას თურმე გაყოლოდა შორი ახლოს შეიარაღებული გლეხები წამოეწივნენ დათა ლაცაბიძეს, ჩაუსაფრდნენ ღობის ძირში, სოფელთან ახლოს, და აუტეხეს სროლა; დაჭრილ იქმნა დათა ლაცაბიძე, იმიტომ რომ ბრმათ არ გაჰყვა, არ მოსტყუვდა, და, არ ჩაეწერა ფედერალისტების პარტიაში, ხმა არ მისცა მათ პარტიას. დაჭრილი მივიდა თავის სახლში და რა მისმა ცოლმა ნახა თვისი მეუღლე დაჭრილი. ბევრი აღარ დააყოვნა და, გაიქცა მახლობელ სოფელ კავტისხევს და იქ განუცხადა სოფელს რაშიაც იყო საქმე. მალე სოფელმა დახმარება აღმოუჩინა, გააყოლეს რამდენიმე მილიციონერი ლაცაბიძის მეუღლეს და წამოიყვანეს სოფელ კავთის ხევს, სადაც დათა ლაცაბიძემ თავის ცოლშვილით მოკეთეებში თავი შეაფარა. გათენებისას, რიჟრაჟზე, როცა ლაცაბიძე უკვე გამორეებული იყო თავის სოფელს მოცვივდნენ გლეხები და დაუწყეს თოფებით სროლა ლაცაბიძის სახლს. კარგახანს ესროდნენ. რა ნახეს რომ სახლიდან არავინ გამოდიოდა, არც არაფერი ხმაურობა ისმოდა, დარწმუნდენ რომ შინ არავინ არის, მხოლოთ ძაღლი იწვა კარებთან და ის ძაღლიც არ დაინდვეს მოსაკლავათ. მოჰკლა პირუტყვი ველურმა ბრბომ და მით გული იჯერეა. მოშორდნენ ლაცაბიძის სახლს. ახლა კითხვაა, ეს ბრბო ამ ინცინდენტით დაკმაყოფილდება, თუ კიდევ იწყებენ ძმათა სისხლის ღვრას. მე კი მოუწოდებ, რომ ნულარ გაჰყვებიან გლეხები ბრმათ, მათ უნდა იქონიონ სიფხიზლე და გარჩიონ მტერ მოყვრე და მაშინ გამოიჩინონ მეტი მოქმედება, როცა მტერს იგდებენ ხელთ: სოფლის გლეხს, რასაკვირველია, მტერი ბევრი ჰყავს: ვაჭარი, თავადი, მღვდელი, ბერი და სხვა აი ამათ ხელში არ უნდა ჩაცვივდნენ გლეხები; აი ჩემი დარიგება გლეხებმა უნდა ჩამოართვან მიწა იმათ ვისაც ძალიან ბევრი აქვთ, გლეხი იქნება ის თუ თავადი, თუ ვაჭარი,-სულ ერთია, საეკლესიოა თუ სამონასტრო, ერთი სიტყვით, ის ყველა უყრავი მიწები და ტყეები სულ უნდა გადავიდეს გლეხთა ამორჩეულ კომიტეტების ხელში და დამუშაოს სოფელმა, ვინც იქნება ის გლეხი, თუ თავადი, თუ ვაჭარი,-სულ ერთია მიწა კი დამუშაოს, და ვინც უნდა იყვეს, ყველამ თანასწორათ უნდა იშრომოს, მუშაობას მიაჩვიოთ, გლეხი იქნება თუ თავადი, ვინც უნდა იყოს.

გიუნაშვილები აქ ვერაფერს გიშველით მისი პარტია თავადებს არ შეებრძოლება, ეს თითონ ღარიბმა გლეხებმა უნდა მოაწყონ და მოაწესრიგონ თავისი საქმე.

ძველი ბალშევიკი.

ს ო ფ. ბ უ რ ნ ა თ ი (გურია) ამ სოფელში ჯერ კიდევ პარპაშობენ ბნელი ძალები, რომელნიც სოფელს ორ ბანაკათ ყოფენ. ამ პირებს შეუფარებიათ თავი ადგილობრივ მენშევიკების ორგანიზაციაში და იქედან მიაქვთ იერიშები ხალხის წინააღმდეგ.

მენშევიკების ორგანიზაცია იმის მაგივრათ რომ ჩაუდგეს სათავეში ხალხს, დაბნეულა და უკან ჩამორჩა გლეხებს. დროა აწი თქვენც, ბურნათის გლეხებო, ჩამოშორდეთ ამ ჭრელ ორგანიზაციას, და გავყვეთ მუშების ინტერესების დამცველ პარტიას ბალშევიკებისას, და მით როგორც რუსეთში, აქაც ისტორიას ჩააბაროთ მენშევიკები. ამით თქვენ დაამტკიცებთ თქვენს რევოლიუციონერობას და პოლიტიკურ სიმწიფეს იკითხეთ მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთი „ბრძოლა", მით დაუმტკიცეთ მენშევიკებს, რომ თქვენ ერთათ ივლით რუსეთის მუშათა კლასთან და ერთათ შეხვდებით, როგორც ლხინს, ისე ჭირს. აქ მასწავლებლათ გადმოიყვანეს ამხ. როგავა. და იმედია, როგორც ერკეთში, იგი აქაც ღირსეულათ შეასრულებს თავის მოვალეობას სათავეში ჩაუდგება აქაურ გლეხებს და შეგნების გზაზე დააყენებს მათ.

პატარა ტეხნიკი.

## ახალი ამბები.

დ ა ტ უ ს ა ღ ე ბ ა. 27 იანვარს თბილისის რკინის გზის სადგურზე დაატუსაღეს გორის ბალშევიკურ ორგანიზაციის წევრი ეფრემ ხმიადოვი. ის ლაპარაკობდა, რომ კავკასიის კომისარიატი ჩამოშორდა რუსეთის ხალხსო, დემოკრატიასო. ალბათ ეს ჩამოშორება ისეთი ცუდი ყოფილა, რომ იმის თქმისთვისაც კი ხალხს ატუსაღებენ. და მართლა ვინც ეს ჩამოშორება მოახდინა და საქმითაც განახორციელა, იმათ რაღა სასჯელი ეკუთვნის!?

სამშაბათს 30 იანვარს საღამოს 6 საათზე ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის ბინაზე შესდგება საბჭოს რწმუნებულთა კრება. გასარჩევია კითხვები ტარიფზე, გაფიცულების სასარგებლოდ გადადებულ ფულზე და მიმდინარე საკითხები. რწმუნებულებს თხოვენ აუცილებლად დაესწრონ კრებას და არ დაიგვიანონ.

## განცხადებები.

„ბრძოლის" რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება რედაქციაში ყოველ დღე დილის 11 12 საათზე.

რ. ს. დ. მ. პ ბალშევიკების თფ. ორგანიზაციის პირველი რაიონის ამხ. პროპაგანდისტ-აგიტატორებს, რომელთაც სურთ სოფლებში წავიდენ, ვთხოვთ ჩაეწერონ რაიონის კოლექტივის სეკრეტართან ბიუროში. ბიუროს ადრესი: ჩერქეზოვის ქ. № 135 საღამოს 5 8 საათ.

კავშირის „ნემსის პროლეტარების" გამგეობა აუწყებს ამხანაგებს, რომ ფირმები აგაბელოვის (მიხ. ქ.) და შეიმენის (გოლოვ. პრ.) გაფიცვის გამო გამოცხადებულია ბოიკოტს ქვეშ.

30 იანვარს, სამშაბათს რ. ს. დ. მ. პ. ბალშევიკების მესამე რაიონი გამართავს ავლაბრის პლუბში (კახეთის ქ. № 1, საღამოს 5 საათზე ლ ე ქ ც ი ა ს (რუსულ ენაზე) „კავკასიის ობორონცები და ჩვენი ტაქტიკა წაიკითხავს ამხ. კუზნეცოვი

დღეს, 30 იანვარს, საღამოს 5 საათზე ავლაბრის კლუბში (კახეთის ქ. № 1) რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) თფ. მესამე რაიონის კომიტეტი გამართავს ორ ლექციას —(რუსულ ენაზე) „დამფუძნებელი კრება და საბჭოები", წაიკითხავს ამხ. ბოგდანოვი.

2. (სომხურათ) „ბრძოლა ზივისთვის" წაიკითხავს ამხ. მრავიანი.

შესასვლელი ბილეთის ფასი 30 კ. 75 კ.

31 იანვარს, ოთხშაბათს საღამოს საათზე აფხაზის აუდიტორიაში მოწვეულია რ. ს. მ. პ. (ბალშევიკების) თფ. პირველი რაიონის წევრების საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კონფერენციაზე. 2) მოხსენება რაიონის კომიტეტის. 3) არჩევა რაიონული კომიტეტის და სარევიზიო კომისიის. 4) მიმდინარე საქმეები.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) თბილისის პირველი რაიონის წევრები, რომელთაც 1918 წლის საწევრო ბილეთები არ მიუღიათ, პარტიიდან გასულებად ჩაითვლებიან; ამიტომ ვთხოვთ ამხანაგებს დააჩქარონ ახალი ბილეთების მიღება.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილისის პირველი რაიონის წევრთ, რომელთაც სურთ მოკლე ვადიანი კურსი გაიარონ, რომ პროპაგანდისტათ და აგიტატორათ მომზადდენ, ვთხოვთ ჩაეწერონ ახლავე კოლექტივის მდივანთან ბიუროში (ჩერქეზოვის ქ. № 135).

რ. ს. დ. მ. პარ. (ბალ.) თბილ. პირველი რაიონის ამხ. პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, რომელთაც სურთ სოფლათ გავიდენ პარტიულ მუშაობისთვის ვთხოვთ ახლავე ჩაეწერონ კოლექტივის მდივანთან ბიუროში.

პირველი რაიონის აგიტატორ პროპაგანდისტთა კომისია.

კოლექტივი.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილ. მეორე რაიონის კოლექტივი 1 თებერვალს, ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე სამედიცინო საზოგადოების შენობაში (პუშკინის ბიბლიოთეკა ალექსანდროვს ბაღში) იწვევს წევრთასაერთო კრებას.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება რაიონის კომიტეტისა. 2) მოხსენება საქალაქო კონფერენციაზე. 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 4) მიმდინარე საქმეები.

მეორე რაიონის ბიურო.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილ. ორგანიზაციების კომიტეტების ბიუროების ადრესები:

საქალაქო კომიტეტის: განოვის ქ. № 3 („ბრძოლის" რედაქცია ტელეფონი 3 11 კომიტეტის მდივანი იმყოფება დილის 10 საათ. ნაშ. 2 საათამდე საღამოს 6 8 საათ.

I რაიონის: ჩერქეზოვის ქუჩა № 135 მდივანი იმყოფება საღამოს 5—8 საათამდე.

II რაიონის: ელისაბედის ქუჩა № 1 მდივანი იმყოფება საღამოს 6—8 საათამდე.

III რაიონის: კახეთის ქუჩა № 1 (ავლაბრის კლუბი) ტელეფონი 5—98 მდივანი იმყოფება დილის 11 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე. საღამოობით 5 9 საათამდე.

IV რაიონის: განოვის ქუჩა № 3 („ბრძოლის" რედაქცია) ტელ. 3—11 მდივანი იმყოფება საღამოობით 5 7 საათ.

მუსულმანთა ორგანიზ. „ჰუმეტის": სურფ-სარქისის ქუჩა № 10 ტელეფონი 14—15. მდივანი იმყოფება საღამოობით 5—8 საათამდე.

ოსთა ორგანიზაციის „ჩერმეჯის": ჩერქეზოვის ქუჩა № 135 მდივანი იმყოფება საღამოობით 5 8 საათ.